

კონსერვაციისათვის პრიორიტეტულ მცენარეთა სახეობების
იდენტიფიკაცია ყაზბეგის რეგიონისათვის

სოფიო ბიბილაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა
და მეცნიერების ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
(მიმართულება: ეკოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

შინაარსი

1. აბსტრაქტი.....	3
2. შესავალი.....	Error! Bookmark not defined.
3. იშვიათი მცენარეები.....	Error! Bookmark not defined.
4. IUCN-ის კატეგორიები და კრიტერიუმები	Error! Bookmark not defined.
4.1. IUCN-ის წითელი ნუსხა	Error! Bookmark not defined.
4.2. IUCN-ის კატეგორიები.....	Error! Bookmark not defined.
4.3. IUCN-ის კრიტერიუმები.....	Error! Bookmark not defined.
5. მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიები [Important Plant Areas (IPA)].....	Error! Bookmark not defined.
6. სახეობათა გავრცელების მოდელირება.....	Error! Bookmark not defined.
6.1. მოდელირების ალგორითმები	Error! Bookmark not defined.
7. მასალა და მეთოდიკა	Error! Bookmark not defined.
7.1. ყაზბეგის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	Error! Bookmark not defined.
7.2. ყაზბეგის რეგიონის ფლორისა და მცენარეულობის დახასიათება.....	Error! Bookmark not defined.
7.3. საფრთხეები, რომლებიც ყაზბეგის რეგიონში ემუქრება ფლორას	Error! Bookmark not defined.
7.4. მეთოდიკა.....	Error! Bookmark not defined.
8. შედეგები და განხილვა	Error! Bookmark not defined.
8.1. ყაზბეგის რეგიონის საქართველოსთვის იშვიათი (აღნიშნული არა უმეტეს სამი ადგილმდებარეობისა) სახეობების შეფასება ეროვნული "წითელი ნუსხისთვის" და შეფასების დასაბუთება:	Error! Bookmark not defined.
8.2 მოდელირება ახალი პოტენციური ადგილმდებარეობების აღმოჩენის მიზნით.....	Error! Bookmark not defined.
9. დასკვნა	Error! Bookmark not defined.
10. მადლობა	Error! Bookmark not defined.
11. გამოყენებული ლიტერატურა:.....	Error! Bookmark not defined.
12. დანართები	Error! Bookmark not defined.

1. აბსტრაქტი

საქართველოში ყაზბეგი ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული ერთ-ერთი რეგიონია. მის მცენარეულ საფარზე მოქმედი კლიმატის ცვლილება, ანტროპოგენური ზეგავლენა და მისგან გამოწვეული ნიადაგის ეროზია საფრთხეს უქმნის მცენარეულ საფარს. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევის ტერიტორიად ყაზბეგი მივიჩნიეთ.

გადავამოწმეთ აქ გავრცელებული ყველა სახეობა, თუ რამდენ ლოკალურ ადგილას იყო გავრცელებული საქართველოში და ამ კვლევისათვის იშვიათად მივიჩნიეთ ის სახეობები, როლებიც იყო გავრცელებული არაუმეტეს სამი ლოკალური ადგილისა. შერჩეული სახეობების რეგიონული შეფასება მოვახდინეთ მოქმედი საფრთხეების, გავრცელების არის, ლოკალიტეტების სიმცირისა და სხვადასხვა სახეობისთვის სპეციფიკურ ფაქტორებზე დაყრდნობით. სახეობები შეფასდა IUCN-ის კატეგორიებისა და კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენი სახეობების უმეტესი ნაწილი კავკასიის ენდემი აღმოჩნდა, რომელსაც ჰქონდა IUCN-ის გლობალური შეფასება, თუმცა რეგიონულმა შეფასებამ სხვა სურათი აჩვენა. აღმოჩნდა, რომ არსებობს სახეობები, რომლებიც არის „კრიტიკულ საფრთხეში მყოფი/ შესაძლოა გადაშენებული“, „მოწყვლადი“. ზოგიერთი სახეობის შეფასებისათვის კი ინფორმაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, საჭიროებს დეტალურ შესწავლას.

მოვახდინეთ ჰაბიტატების დაჯგუფება მსგავსი ეკოლოგიური პირობების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი სახეობების ნაწილი მიჯაჭვულია ერთ კონკრეტულ ჰაბიტატზე. პოტენციური ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით გაკეთდა მოდელირება ამ სახეობებისთვის. სურათი რომ უფრო სრულყოფილი ყოფილიყო, საქართველოს ლოკალური ადგილმდებარეობების კოორდინატებს დავამატეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ გავცელების კოორდინატები.

კვლევის შედეგად გამოვლინდა სახეობების თავმოყრის რამდენიმე ადგილი.

მონაცემები არ იყო საკმარისი მნიშვნელოვანი ბოტანიკური ტერიტორიების იდენტიფიკაციისათვის, თუმცა შეიქმნა ღირებული თეორიული საფუძველი, რისი საშუალებითაც შესაძლებელია, დაიგეგმოს გამოვლენილი სახეობების დეტალური შესწავლა ველურ ბუნებაში.